

№ 22 1980 წ. იანვარი. ხუთშაბათი. ვასი 3 კაპ.

საპარტვილოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 13 აპრილიდან

ლენინური მემკვიდრეობის ძალა

ამომრჩეველთა შიხვიდრა ახ. ე. ა. შიხვარდნაძესთან

გმრალიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საქართველოს მშრომელები, რომლებიც მხურვალედ იბრუნებენ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ეგებებიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს. ისინი ალსავე არიან რევოლუციური ოპტიმიზმითა და რწმენით, რომ დაიპყრობენ პარტიის მიერ დასახულ ყველა მწვერვალს.

...სადღესასწაულოდ არის მორთული ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კულტურის სახლი. 29 იანვარს აქ გაიმართა № 336 რუხის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ედუარდ ამბროსის ძე შიხვარდნაძესთან. შეხვედრა შესავალი სიტყვით

გახსნა პარტიის ზუგდიდის რაიონის პირველმა მდივანმა ი. თ. თოდუამ.

საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — სოფელ რუხის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა თ. ნ. ფაცაციაძემ ილაპარაკა ე. ა. შიხვარდნაძის ცხოვრების გზისა და შრომითი საქმიანობის შესახებ, რომელიც ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებს კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისათვის. თ. ნ. ფაცაციაძემ დამსწრეთ გააცნო ნარმატებიანი, რომლებსაც რესპუბლიკის მშრომელებმა მიადნიეს საქართველოს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, აღნიშნა დეპუტატობის კანდიდატის დიდი ორგანიზატორული ნიჭი, მოიყვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები; მან ლენინის ორდენის გადაცემისას ე. ა. შიხვარდნაძე დაახასიათა როგორც ენერგიული და გაბედული ადამიანი, რომელმაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტზე მოიხვეჭა ავტორიტეტი რესპუბლიკისა და მთელ ქვეყანაში. ორატორმა ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუწოდებდა სრულყოფილად დაეხმობა შიხვარდნაძეს და უპარტიოების ურდვენი ბლოკის კანდიდატებს.

ზუგდიდის რაიონის კომუნისტების, ყველა მშრომელის ნიშნულზე პარტიის მიერ დასახული დიდი და პასუხსაგები ამოცანების, ხუთწლიის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გა-

ჩაღებულ შეჯიბრებაში ამ რაიონის მშრომელთა ნარმატებების შესახებ ილაპარაკეს შეხვედრაზე სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარემ ზ. ლ. თოდუამ, ზედა ენერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტმა მ. გ. კოდუამ, რუხის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. ვ. ნაჭყებამ, ზედა ენერის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მელორემ პ. ნ. რიაზოკონმა, სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიემ გ. დ. ჩავინავამ.

შეხვედრაზე ვრცელი სიტყვა ნარმოთქვა ე. ა. შიხვარდნაძემ, რომელსაც შეერებინა გულთბილად შეხვედრენ.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატები, ამხანაგები ბ. ვ. ადგილი და ვ. რ. პაპუნძე. (საქინფორმი).

დროშები

საუკეთესობას

საპარტვილო კავშირული ორგანიზაციის მიერ დაჯილდოვდა სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც ახლახან განიხილა 1979 წელს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კომპარტიული ორგანიზაციების მუშაობის დათვლიერების შედეგები, დაადგინა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისთვის საქართველოს რესპუბლიკური კომპარტიული ორგანიზაცია რამდენიმე სხვა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო კომპარტიულ ორგანიზაციასთან ერთად დაჯილდოვდეს სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ეს მაღალი ჯილდო საქართველოს კომპარტიული ორგანიზაციების მებრძოლობის ზრდის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. იგი აგრეთვე ღირსეული შეფასებაც არის იმ დიდი მუშაობისა, რომლებსაც ისინი პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყოველმეურნეო ხელმძღვანელობითა და დახმარებით ეწევიან ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისთვის, იმისთვის, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მისი წილი სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრის, მათე ხუთწლიის დავალებათა ვადამდე და ხარისხიანად შესრულების პასუხსაგებ საქმეში.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მათე ხუთწლიის მეოთხე წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა მზიორი აჭარის კომპარტიული ორგანიზაცია.

მოგილოცავთ მაღალ ჯილდოებს, მეგობრებო!

საქსელი ზამთრის ოლიმპიადისთვის

ათენი, 30 იანვარი (საქდესი). დღეს უძველეს ოლიმპიაში აინთო ოლიმპიური ცეცხლი ლიკ-პლეიდის თეთრი ოლიმპიადისათვის. საზეიმო ცერემონიის შემდეგ



სურათებზე: ზევით — 800 მეტრზე მორბენალი ვაჟები დისტანციანზე; აქ ფინიშთან პირველი იყო უკრაინელი ვ. ბილანი; 200 მეტრზე გოგონათა ერთ-ერთი გარბენის სტარტზე; ო. ვიქტოროვა და ბ. გოცირიძე ასპარეზობის შემდეგ.



ჯ. ლომაძის ფოტოები.

მორბენლებმა ოლიმპიური ცეცხლი მიიტანეს სოფელ პლატანოსამდე, საიდანაც ჩირალდანი ავტომანქანით გაიზავნა ადგილობრივ აეროპორტში.


ოლიმპიური ჩირალდანი კურსს იღებს ლიკ-პლეიდისკენ.

ზარიკაობა ორი პრიზი

საბჭოთა დღით მოფარიავებმა გაიმარჯვეს იტალიის ქალაქ ვერჩელიში გამართულ საერთაშორისო ტურნირში „ბერტი-

ნეტის“ თასზე. მეორე იყო შვიცარიის გუნდი, მესამე — იტალიის ნაკრები.

საბჭოთა გუნდი მესამე კოლექტივია, რომელმაც სპეციალური თასი მიიღო ამ ტურნირში მეორედ გამარჯვებისთვის.



მძლეოსნობა „შრომითი რაზმების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა

« და 7 თიბარვალს თბილისში, „განთავის“ მძლეოსნობის სახალღეში გაიმართება ჩვენი ქვეყნის იუნორთა ზამთრის პირადგუნდური ტურნირი მძლეოსნობაში სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპორტსმენთა შორის. ამ ასპარეზობისთვის ნაკრების წევრთა შერჩევას მიეძღვნა „შრომითი რაზმების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა, რომელიც ამ დღეებში აქვე ჩატარდა.

გამარჯვებისთვის 14 გუნდი იბრძოდა, მაგრამ მათი შემადგენლობა იმდენად უთანაბრო იყო, რომ სტარტამდეც არაის გაუჭირდებოდა გუნდურ პირველობაში პრიზიორთა ვინაობის გამოცნობა: ტურნირის ორგანიზატორებმა რსფსრ-ს 30-კაციანი კოლექტივის გამოყვანის უფლება მისცეს, უკრაინას 26 კაცით ასპარეზობა შეეძლო. სხვებს — 13-13-ით, სომხეთის გუნდი 5, ხოლო საქართველოს კოლექტივი 4 სპორტსმენით განისაზღვრა. ამ გადაწყვეტილებების მიღებისას, უთუოდ გავალისწინებული იყო რესპუბლიკური საბჭოების პოტენციური შესაძლებლობანი.

საბოლოოდ რსფსრ-ს გუნდმა 217 ქულა მოაგროვა და ითლად მოიპოვა უძლიერესის სახელი. II ადგილისთვის უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა უკრაინის ორ გუნდს შორის. დონეცკელებმა (151,5 ქულა) რესპუბლიკის ნაკრებს ნახევარი ქულით აჯობეს. რაც შეეხება საქართველოს მძლეოსნებს, მათ 125 ქულა მოაგროვეს და XI ადგილს დაიკავეს.

სამაგიეროდ, მასპინძლებს პირად შეჯიბრებაში აქვთ სასიქაღულო. სწორედ მისმა წევრმა შე-

ძლო რესპუბლიკური მიღწევით გამოიჩინა თავი. ფიზკულტურის ინსტიტუტის მასობრივი სახეობების ფაქულტეტის II კურსის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა თ. ვიქტოროვამ (მწვრთნელი ე. გაგუა) 60 მეტრზე რბენის ფინალში გაცილებით ტიტულოვანი მეტოქეების ჩამორთვება

კრებში და საკავშირო პირველობისთვის ემზადებია.

მასპინძელთა გუნდს ქულები მოუპოვეს. აგრეთვე, ი. არტემიევმა 400 მეტრზე რბენაში — 52,2 (IV ადგილი) და ო. ბერდისინმა — 60 მეტრზე თარჯრბენაში — 8,7 (V ადგილი).

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია

რესპუბლიკური მიღწევები

შექლო. წინასწარ ასპარეზობაში მისი შედეგი (7,5) მხოლოდ III იყო, ფინალში კი ყველაზე წინ აღმოჩნდა — 7,4. ეს საქართველოს ზამთრის მიღწევაა. ვიქტოროვამ კარგად იასპარეზა 200 მეტრზე შეჯიბრებაშიც — აქ მას მხოლოდ ლ. ტუზიკოვამ (რსფსრ) აჯობა — 24,7.

გაგუას მეორე აღსაზრდელი ბ. გოცირიძე (ისიც ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია) 60 მეტრზე რბენაში ვ. გაგრიკოვის (რსფსრ) 0,1 წამით ჩამორჩა — 6,8, ხოლო 200 მეტრზე პირველობა რსფსრ-ს აუნდის წევრ ვ. ნიკოლაეის დროის იმავე მონაკვეთით დაუთმო — 22,5. ჩვენი რესპუბლიკის ორივე სპორტსმენი ჩაირიცხა „შრომითი რაზმების“ ცენტრალური საბჭოს ნა-

დონეცკელი რ. ბოგატრიოვის წარმატება 100 მეტრზე თარჯრბენაში — 14,1. იგი უძლიერესი იყო 60 მეტრზე თარჯრბენაშიც — 8,7.

საინტერესოდ წარიმართა ქალთა შეჯიბრება სიმალღეზე ხტომაში. თბილისელმა მ. ალიკრინსკიამ, რომელიც უკონკურსოდ გამოდიოდა, 176 სმ გადალახა. პირველი ადგილი მიეკუთვნა ი. რუჟაიკოვას (რსფსრ) — 173 სმ. ვაჟთა შორის აქ ყველაზე მაღლა (208 სმ) თბილისის რინამოელი გ. საჩქერკო გადახტა, მაგრამ ისიც უკონკურსოდ გამოდიოდა, ამიტომაც I ადგილი, დარჩა ლენინგრადელ ი. ივანოვს. იგი საჩქერკოს 8 სანტიმეტრით ჩამორჩა.

ლ. გელაშვილი.

საპარტიო-კომპარტიო-საინჟინერო-კომპარტიო დადგენილება — სსრკ-ზე!

მეგობრობენ თანატოლები

მოზარდთა შორის საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ორგანიზაცია მათი აღზრდის ერთ-ერთ თვალსაჩინო რგოლად მიჩნეულია. რაც დრო გადის, თანდათან მატულობს მისი მნიშვნელობა და, შესაბამისად, იზრდება საცხოვრებელ ადგილებში სპორტული და გამაჯანსაღებელი სექციების რიცხვი. თბილისის ბევრ მიკრორაიონში ნორჩები გონივრულად, შინაარსიანად ატარებენ სწავლისგან თავისუფალ დროს.

26 კომისიის სახელობის რაიონმა ჩვენს დედაქალაქში ერთ-ერთმა პირველმა შექმნა მოზარდთა ეზოს სპორტული კლუბი, ჩაატარა ეზოების და მიკრორაიონების, სპარტაკიადები. 92-ე

საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდმა, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ახალგაზრდა მწვრთნელი ზ. ზაქაძე ამეცადინებს, უკვე გაითქვა სახელი რაიონში. ფიკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბეზაშვილისა და უფროსი პედაგოგ-ორგანიზატორის ჯ. ბოკუჩავას მხარდაჭერით გუნდმა ამას წინათ მოსკოველი თანატოლები მოიწვია და მათთან ორი შეხვედრა გამართა. თბილისელთა სტუმარი იყო ბაბუშინის რაიონის მე-19 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ამ 2 წლის წინათ კანტორის

მწვრთნელ-მეთოდისტს, ჩვენს თანამემამულეს კ. ბერიძეს შეუდგენია. პირველ მატჩში მასპინძლებმა გაიმარჯვეს, მეორე — ფრედ დამთავრდა.

ამ დღეებში თბილისელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა მოსკოველი თანატოლებების საპასუხო მატჩიც მიიღეს.

ეს შეხვედრა გახაზგულზე გამართება და მოსკოვში, როგორც ამას მომავალი მატჩების მასპინძლები ითხოვენ, ჩვენგან 2 გუნდი გაემგზავრება.

გავა დრო და ვინ იცის, იქნებ დღევანდელი ნორჩი ფეხბურთელები დიდ სპორტულ სარბიელზეც შეხვედრე ერთმანეთს.

ხ. ზურაბიშვილი.

* * *

სურათები: მოსკოველი და თბილისელი თანატოლების პირველი შეხვედრის მომენტი; ბოლოს სტუმარ-მასპინძლებმა ხამახოვროდ ეს სურათი გადაიღეს.



დედაქალაქის საქარხნო რაიონში ამ ორიოდე წლის წინათ 70-მდე სპორტული მოედანი გაშენდა საცხოვრებელ კორპუსებთან. მაგრამ მოედანზე არის და მოედანზე. მათზე მარტივი და უბრალო არ ითქმის, — ისინი შემოღობილია და მოსაფლტე-ბულიც. ბევრს გასახდელი და მასურებისთვის განკუთვნილი ადგილიც აქვს.

სულ რაღაც ორიოდე წელიწადში ამდენი მოედნის გაშენება, ცხადია, ადვილი არ იყო. მაგრამ ყველა მოსალოდნელი სიძნელე თავიდანვე იქნა გათვალისწინებული. პარტიის თბილისის საქარხნო რაიონში სპორტული ბაზების მშენებლობა საერთო-სახალხო საქმედ გამოაცხადა. ორგანიზაციებს და სანარმოებს ისეთი სამუშაოების შესრულება და იმ საშენი მასალის გამოყოფა დაევალა, რომელზედაც ხელი მიუწვდებოდათ.

საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის ე. ინკვირვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ ღონისძიებებზე გადის ის აუცილებელი გზა, რომელსაც მასობრივიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობისკენ მივყავართ.

ზემოაღნიშნულ სპორტულ ღონისძიებებში, აგრეთვე საცხოვრებელ კვარტლებს, ქუჩებსა და კორპუსებს შორის წელს ჩატარებულ ღონისძიებებში 6 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. დაგვისახდეს მონაწილე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებისთვის, მაგალითად, მე-100 (უფროსი ო. კუპრაძე, პედაგოგ-ორგანიზატორი **თ. თუნიაშვილი**),

ნორჩმა მოყვარულებმა განიცადეს, გვაგრძობინა, რომ კლუბს უფროდ შინაარსიანი ცხოვრება მოელოდა. მითუმეტეს, თვითვეტერანმა ფეხბურთელმაც აღუთქვა დახმარება მისი კლუბის წევრებს.

სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც ერთუზიანის ჩასახვისა და გაღვივების პერიოდში წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იყო — თავი იჩინა გულგრილობამ. კლუბმა მხრები ვერ გაშალა, ფეხზე ვერ დადგა. ფრთხილ შეკვეცა ნორჩების ოცნებას.

პედაგოგ-ორგანიზატორმა **ნ. ხარშილაძემ** კლუბის მუშაობით

უხეხს თავს. მიკრორაიონებისადმი ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებში დახმარების აღმოჩენის შესახებ პარტიის რაიონის მითითებას არ ასრულებენ საშეფო ორგანიზაციები — **სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკა და მე-15 ტრესტი.**

სახალხო დეპუტატების რაიონის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით 97-ე, 98-ე, 99-ე და მე-100 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებში 1979 წელს სახელობის სპორტსმენთა სახელობის კლუბები უნდა გახსნილიყო, მაგრამ რატომღაც თვით კანტორების ხელმძღვანელები და მათი შემ-

ლი სადამოები და ვიქტორინები. მოსკოვის ოლიმპიადისთვის მთელი ჩვენი ქვეყნის ერთსულოვან მზადებას ბევრგან ჯერ კიდევ ვერ იყენებენ მოსახლეობის ფართო ფენებში ფიზკულტურისა და სპორტისადმი ინტერესის გასაღვივებლად.

ყველა ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარებას ამ ბოლო წლებში ენერგიულად მოკიდებულ ვარკეთილს მიკრორაიონის საბჭოს კომიტეტმა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საცხოვრებელი მიკრორაიონი სულ მალე სამაგალითო სპორტული მიკრორაიონის სახელს დაიმკვიდრებს ჩვენს დედაქალაქში.

ფიზკულტურა ჩვენს ეზოში!

დაპირებას შესრულება უნდა

მაგრამ რაიონში მხოლოდ სპორტული მოედნების მშენებლობით როდი დაკმაყოფილდნენ: მას შემდეგ, რაც ბაზები მწყობრში ჩადგა, შემუშავდა მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გეგმა. მთავარი ყურადღება მოზარდებზე იყო გადატანილი. საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებს წინადადება მიეცათ ბავშვებისთვის გაეხსნათ სპორტული სექციები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ამ მოედანებზე ყოველ ოთხშაბათსა და შაბათს 2-დან 4 საათამდე გამოეყოთ დრო სპორტულ თამაშებში მონაწილეების მასობრივად მოსახიდავად.

მოზარდებმა შეიყვარეს და ხალისით მონაწილეობენ ისეთ პოპულარულ ღონისძიებებში, როგორცაა „სიჭაბუკის“ სპარტაკიადა, ყოველწლიურად ათასობით ნორჩი ფეხბურთელი მონაწილეობს „ტყავის ბურთის“ პრიზის გათამაშებაში. საგულსხმთა, რომ ბავშვებს მშობლებთან ერთად ხშირად ნახავთ სპორტულ სარბიელზე. სხვადასხვა ასაკის ადამიანებს, ოჯახის წევრებს, მეზობლებს, თანაკორპუსელებს თავს უყრის „ჯანმრთელობის“ სპარტაკიადა.

ვარკეთილის მიკრორაიონის

97-ე (ლ. ზალიშვილი, გ. ერინა), 99-ე (მ. ნიოელაური, გ. ვასალია) და სხვ.

მონაწილეთა გამოცდილებაზე ბევრი კარგი სიტყვის თქმა შეიძლება, მაგრამ ამას სხვებზე ვერ ვიტყვით. ჯერ კიდევ არიან სახლმმართველობები და შეფიკოლები, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ ამ დიდ სიკეთეს — სრულად არ იყენებენ სპორტულ ბაზებს მოსახლეობაში, უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გასაშულებად.

ამ ორიოდე წლის წინათ რესპუბლიკის რამდენიმე გამოჩენილი სპორტსმენი მიიწვიეს 117-ე საშუალო სკოლაში. იმ შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ 96-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორამ მოზარდებისათვის გახსნა სახელობის ფეხბურთელის გაიონ ჯეჯელავას კლუბი. სიხარულმა, რომელიც ფეხბურთის

ვერავინ დააინტერესა, შემწედ ვერავინ გაიხსნა საზოგადო საქმეში. ახლა იძულებული ვართ გაზეთის საშუალებით შევხსენოთ კლუბის შესვს — გრეხილ-ავეჯის კომბინატის ხელმძღვანელობას, პირადად ამს. **ლ. ნამგალაძეს**, რომ დაპირებას შესრულება უნდა, მითუმეტეს, როცა საქმე ბავშვებზე ზრუნვას ეხება. გაიონ ჯეჯელავას სპორტული კლუბი 1977 წლის თებერვალში შეიქმნა, მაგრამ 96-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის თავკაცებმა დღემდე ვერ გამოახსენეს კლუბისთვის შესაფერ ბინა.

გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის ანალოგიური ვითარებაა 98-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაში (უფროსი რ. ცაჭურავი, პედაგოგ-ორგანიზატორი **მ. მიტიჩაშვილი**). კანტორის მესვეურთა გულგრილობის შემყურე არც საშეფო ორგანიზაცია „თბილელსაწყო“ ინ-

ხედვარე საშეფო ორგანიზაციებიც არ ქარობენ, ამიტომაც დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ პარტიის რაიონის მითითებით მიკრორაიონების სპორტული მოედნები კვირაში ორ დღეს ორ-ორი საათით სკოლებს ეთმობათ. რაიონის სკოლების აბსოლუტურმა უმრავლესობამ კარგად გაიგო ამ უაღრესად საქირი საქმის მნიშვნელობა და აქტიურადაც მონაწილეობენ ღონისძიებებში. მაგრამ აქვე ვიტყვით, რომ 108-ე, 145-ე და 146-ე საშუალო სკოლებს ჯერაც არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯი — არ გამოუყვანიათ თავიანთი აღსაზრდელები სპორტულ მოედნებზე.

საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებში იშვიათად ტარდება შეხვედრები ცნობილ სპორტსმენებთან. არ ეწყობა სპორტუ-

ნერილი გამოსაქვეყნებლად მზად გვექონდა, როცა რამდენიმე ფაქტი ერთხელ კიდევ გადავამოწმეთ. ვიდრე წერილზე ვმუშაობდით, ხომ შეიძლებაოდა სასიკეთო ცვლილებები მომხდარიყო საშეფო ორგანიზაციებისა და სახლმმართველობების ურთიერთობაში. ტელეფონით დავუკავშირდით ლ. ნამგალაძესაც. როგორც მისგან შევიტყვეთ, კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორი ლ. გოგაშვილი კვირაში სამი დღით გაიონ ჯეჯელავას კლუბზე მიუმაგრებიათ მეცადინეობების ჩასატარებლად. შემდეგ ნამგალაძემ გვთხოვა ეს ფაქტი და მეცადინეობის დრო 96-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის პედაგოგ-ორგანიზატორ ნ. ხარშილაძესთან დავგვეუსტებინა.

ეს იყო შაბათს. ხარშილაძის განმარტებით კვირას 3-დან 5 საათამდე „ცისკრის“ სტადიონზე შეგვეძლო კლუბის წევრთა მორიგ მეცადინეობას დაგვსწრებოდათ. დათქმულ დროზე მივედით სტადიონზე, მაგრამ იქ არც მწვრთნელი გამოჩენილა, არც მისი აღსაზრდელები.

რა ხდება? იქნებ პედაგოგ-ორგანიზატორს და ფიზკულტურის ინსტრუქტორს შეცდომაში შეჰყავთ ნამგალაძე. თუ მართლაც ასეა, თავს ნების ვაძლევეთ კიდევ ერთხელ ვიკითხოთ: ვი მაგრამ, ბავშვებს რა ვუპასუხოთ?

ხ. ხორაბა.

დილით თქვენს ბინაში როგორ შეგოღის...



დილის ვარჯიში ყველასათვის ურეცხებო წამალია და ამ „წამალს“ აი, უკვე სამ ათეულ წელზე მეტია საქართველოს რაიონთა აწვდის სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ათასობით ადამიანებს ძველი ტანმოვარჯიშე, გრიგოლ მამარდაშვილი.

...ქართული სპორტის უანგარო მოღვაწე გიორგი ეგნატაშვილი იყო გრიგოლის პირველი მწვრთნელი და დამრიგებელი. მეტი ი, გრიგოლი თვითონ გახდა საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა აღმზრდელი. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დადო მან სპორტსმენი ქალების მომზადების საქმეს. ეგნატაშვილის განცხადებით, სწორედ „გრიგოლ მამარდაშვილმა აღზარდა პირველი ოსტატი ტანმოვარჯიშე ქალები საქართველოში“.

მამარდაშვილს იმ ხანად რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში უხდებოდა ჩასვლა და ბევრი კარგი სპორტული მონაცემების გოგონა აღმოაჩინა. აი, იმ პირველ ტანმოვარჯიშე ქალებს სია, რომლებიც გრიგოლ მამარდაშვილმა აღზარდა: ი. ფარესაშვილი, ლ. ჯიშკარიანი, თ. ყობოსაძე, ნ.

აფრიდონიძე, ა. გაბრიაძე, თ. ქოიავა, ე. ქოკოლევა, დ. ცხიბთაძე, ი. შვილიძე, ც. მატარაშვილი... მამარდაშვილი იყო შესანიშნავი ქართველი ტანმოვარჯიშის მზია ჩუღელის ერთ-ერთი პირველი მწვრთნელიც, სწორედ მისი ხელმძღვანელობით გახდა მ. ჯუღელი სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი.

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა გ. მამარდაშვილმა 24 წლის ასაკში მიიღო საკავშირო კატეგორიის მსახის წოდება. ობიექტურ და მაღალკვალიფიციურ არბიტრს მრავალი პრიზი აქვს მიღებული სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში.

თითქმის ოთხი ათეული წელი ედგა მამარდაშვილი სათავეში საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალებსა და მოსწავლეებს ნაკრებ გუნდებს.

გ. მამარდაშვილი მრავალმხრივად განვითარებული პირადია. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავლების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო ქვესერავტორიაში და ვოკალისტიკის სპეცია-

ლობა მიიღო. მღეროდა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

...1964 წელს გ. მამარდაშვილი საქართველოს რაიონში მიიწვიეს დილის ვარჯიშის პირველი რადიოტრანსმისიონის გადამცემად. მას შემდეგ ყოველ დღეს გვესმის გრიგოლის ხმა რადიოთი. იგი თვითონვე ადგენს ვარჯიშთა კომპლექსს, შემდეგ ეთერში გადასცემს მუსიკალური თანხლებით, რომელსაც მისი მეუღლე, კომპოზიტორი ლილი იაშვილი ახორციელებს.

გრიგოლი კარგი მოსაუბრეა და ბევრი საინტერესო ამბის გასხვებდა შეუძლია. აი, თუნდაც ერთი: ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს პირველობა ტანვარჯიშში, რომლის მთავარი მსახი მამარდაშვილი იყო. მოულოდნელად დარბაზში შეიკვივდნენ საოპერო სტუდიის მუშაკები — თურმე იმ საღამოს სტუდიის „სევილიის“ დალაქი იყო დაწინაურებული და მთმლევად ირავლი მუშაობა, რომელსაც ღონ

ბაზილიოს პარტია უნდა შეესრულებინა, ჯიად გამხდარა. წარმოდგენა ჩაშლა ემუქრებოდა. შეჯიბრების მთავარი მსახი სასწრაფოდ გააქანეს სპორტული დარბაზიდან. რომ იტყვიან, გახდა გაზა ჩააცვიეს ღონ ბაზილიოს კოსტუმში და პირდაპირ სცენაზე გაიყვანეს. გრიგოლმა იმ დღესაც უნაკლოდ შეასრულა თავისი პარტია...

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის დოცენტი გრიგოლ მამარდაშვილი კარგა ხანია ჩამოშორდა აქტიურ სპორტსაც და საოპერო სცენასაც, მაგრამ მისი ხავერდოვანი ხმა კვლავ ყოველ დღე გაისმის რადიოთი: დილა მშვიდობისა, ამხანაგებო! გიწყებთ დილის ვარჯიშს! გამარჯობა! თავი მალა! ადგილზე ნაბიჯით, იარ!

გ. ბარჯაძე.

სპორტის ოსტატი.

სურათები: მიკროფონთანაა გ. მამარდაშვილი — იწყება დილის ვარჯიში.

გ. ლომიძის ფოტო.

საქართველო

პრივი

5:4

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირისა და აშშ-ს მოკრივეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. ანგარიშით 5:4 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ ქართველი ოსტატები დ. კვაჭაძე, ა. ხიზანიშვილი და რ. ჩიჩიკაძე, რომლებმაც თავიანთი შეხვედრები გამარჯვებით დაამთავრეს.

ვატრაპი

ლიდერები ყაიხს დაჯარაღნი

რიბა. 30 იანვარი (დებუთი, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატში, რომელიც აქ მიმდინარეობს. V ტური შედგა.

საქართველოს ჩემპიონმა გ. ხაჩიძემ უპირატესობა მიიღო ლ. ფაჩისთან (რსსრ) შეხვედრაში. მას პარკის მოგება შეეძლო, მაგრამ შეცდა. ტაქტიკურ შეხლა-შემოხლაში ხელიდან გაუშვა ყაიხის მანის და დასრულდა.

ყაიხით დასრულდა ბ. ვაგრიკოვ (მოლდავეთი) — ს. ლუტინის (ერვანის), ა. ხარიტონოვ (გორკი) — ე. ვლადიმიროვის (ალმა-ათა), ზ. აზმაიფარაშვილი — ზ. კენგისის (რიგა) პარტიები. რა თქმა უნდა, უკრძალვეს ცენტრში სწორედ ეს უკანასკნელი პარტია იყო, რადგან ორივე ჩემპიონატს ლიდერობს. მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშა და შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარმართეს.

34-ე სელაზე სვლების გამოკრებით პარტია ყაიხით დათავრდა. ოთხი პარტია გადაიღო. მ. ჩიბურდანიძე შევებით თამაშობდა ი. პოლოვოდინთან (ლენინგრადი). სიცილიური დაცვის ჩელიბინსკას ვარიანტში მიიამ უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ გონებამახვილურად იგერიებდა მეტოქის მოქარას. პარკის შეწირვით მან ყაიხის მიღწევის შესაძლებლობა შექმნა, მაგრამ წინ კიდევ ცხარე ბრძოლა მოალოდნელად.

5 ტურის შემდეგ ზ. აზმაიფარაშვილს, ზ. კენგისსა და ლ. ფახისს 3,5-3,5 ქულა აქვთ.

ფარიკაობა

„მოსკოვური ხმალი“ ჩვენს მუშაკებებს

პრილაბსკაში გამართული შეჯიბრება „მოსკოვური ხმალი“ ოლიმპიური წლის პირველი სერიოზული ტურნირი იყო, რომელიც უკიდურესად „სპორტივანია მოსკოვს“ ინიციატივით მოეწყო. გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის მოფარიკაოთა ნაკრებმა (ვ. ნაზლიმოვი, ვ. კროვოპუსკოვი, ვ. სილიაი, მ. ბურაკივი).

საბჭოთა ხმლით მოფარიკაოებმა ფინალში ანგარიშით 9:3 დამარცხეს იტალიელები. III ადგილზე არიან გერმანიის სპორტსმენები, რომლებმაც გაიმარჯვეს რსდსრ-ს გუნდთან შეხვედრაში — 9:5.

ეს ტურნირი მერვედ ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ 8 ქვეყნის სპორტსმენები. შარშან ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ აღნიშნული ტურნირი „ა“ კატეგორიაში გადაიტანა და ახლა მისი შედეგები მსოფლიო თასის გათამაშების ჩათვლაში შედის.

საქართველო

- 1-3. ბატუტზე ხტომები. საქართველოს თასი. ბათუმი.
- 2-25. კადრაკი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. ნახევარფინალური შეჯიბრება. სამტრედია.
- 3-5. ბაიდარებითა და კანოეებით ნიხბონობა. ერთეული ნაკრებით რესპუბლიკური შეჯიბრება. ფოთი.
- 3-7. სამთო-სათხილამურო სპორტი. საქართველოს ჩემპიონატი და რესპუბლიკური პირველობა იუნიორთა (1962-63 წლებში დაბადებულნი) შორის. ბაკურიანი.
- 4-7. ტრამპლინიდან ხტომა. საქართველოს ჩემპიონატი 70-და 90-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომებში. ბაკურიანი.
- 4-8. სათხილამურო რბოლები. საქართველოს ჩემპიონატი და იუნიორთა რესპუბლიკური პირველობა. ბაკურიანი.
- 5-7. მძლეოსნობა. სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა (1961-62 წლებში დაბადებულნი). თბილისი.
- 6-10. ძიულა. საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.
- 7-12. მშვილდოსნობა. რესპუბლიკური შეჯიბრება დარბაზში გახუთ „მოლოდინო გრუბის“ პარკზე. თბილისი.
- 8-10. ტრამპლინიდან ხტომა. საქართველოს პირველობა იუნიორთა (1962-63 წლებში დაბადებულნი) შორის. ბაკურიანი.
- 8-14. ფარიკაობა. საქართველო (1961-62 წლებში დაბადებულნი) შორის. ცხინვალი.
- 14-18. ძიულა. საქართველოს ჩემპიონატი. გორი.
- 15-18. ხელბურთი. საქართველოს თასი. ვაჟთა გუნდები — ბათუმში, ქალთა გუნდები — ტყიბულში.
- 15-19. მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს პირველობა ქაბუჯთა და გოგონათა (1962-65 წლებში დაბადებულნი) შორის. რუსთავი.
- 16-22. სამთო-სათხილამურო სპორტი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. III ტური. ბაკურიანი.
- 9-15. თანამედროვე ხუთტილი. საქართველოს თასი. თბილისი.
- 9-24. კადრაკი. ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი. შესარჩევი შეჯიბრება. ქუთაისი.
- 13-16. ცურვა. საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი. თბილისი.
- 14-17. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა იუნი-

სპორტული თაბერვალი

ლოს იუნიორთა პირველობა (1960 წ. დაბადებულნი). ბათუმი.

8-15. სამთო-სათხილამურო სპორტი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. III ტური. ბაკურიანი.

9-15. თანამედროვე ხუთტილი. საქართველოს თასი. თბილისი.

9-24. კადრაკი. ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი. შესარჩევი შეჯიბრება. ქუთაისი.

13-16. ცურვა. საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი. თბილისი.

14-17. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა იუნი-

ორთა (1961-62 წლებში დაბადებულნი) შორის. ცხინვალი.

14-18. ძიულა. საქართველოს ჩემპიონატი. გორი.

15-18. ხელბურთი. საქართველოს თასი. ვაჟთა გუნდები — ბათუმში, ქალთა გუნდები — ტყიბულში.

15-19. მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს პირველობა ქაბუჯთა და გოგონათა (1962-65 წლებში დაბადებულნი) შორის. რუსთავი.

16-22. სამთო-სათხილამურო სპორტი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. IV ტური. ვაჟთა „ლელოს“ პრიზების გათამაშება. ბაკურიანი.

16-22. მშვილდოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი დარბაზში. თბილისი.

20-23. ბაღმინტონი. საქართველოს თასი. სოხუმი.

22. მძლეოსნობა. სსრ კავშირის

სა და გერმანიის იუნიორთა გუნდების შეჯიბრება. თბილისი.

21-25. ქართული ჭიდაობა. საქართველოს პირველობა იუნიორთა (1960-61 წლებში დაბადებულნი) შორის. ყვარელი.

23-25. აკადემიური ნიხბონობა. საქართველოს თასი. ფოთი.

25-29. ძალოსნობა. საქართველოს პირველობა იუნიორთა (1960-62 წ. დაბადებულნი) შორის. ქუთაისი.

26-28. სამთო-სათხილამურო სპორტი. საქართველოს თასი „ლინამოს“ პრიზზე. ბაკურიანი.

26. II — 4. III. წყალბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგა. I წრის II ტური. თბილისი.

28. II — 4. III. სასტენო სროლა. საქართველოს თასი. ქუთაისი.

29. II — 3. III. შაში. საქართველოს ჩემპიონატი რუსულ შაშიში ქალთა შორის. რუსთავი.

ჩვენთვის, მსურვენი, ცირკეზი

კოლანდია
XIX ტურის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონატს მტკიცედ ლიდერობს ამსტერდამის „აიაქსი“. რომელმაც 32 ქულა მოაგროვა. ვარსკვლავებით ცნობილი „აიაქსი“ ამჟამად ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტად ითვლება. კარს ჩინებულად იცავს ნაკრების წევრი შრიივერაი, დაცვაში გამოირჩევა ნაკრების კაპიტანი კროლი, შუა ხაზზე ორი დანიელი — ლერბი და არნესენი, თავდასხმაში — ტაპამარა და ლალინი. საინტერესოა, რომ 19 თამაშში „აიაქსი“ ბურთების ასეთი სხვაობა აქვს: 51-19.

მეორე ადგილზეა როტერდამის „ფეიენორდი“. რომელსაც ჩემბოლოვაკელი სპეციალისტი იევეი ხელმძღვანელობს. იგი ლიდერს 4 ქულით ჩამორჩება. როტერდამელები, უპირველეს ყოვლისა, მტკიცედ დაცვით გამოირჩევიან, თუმცა ერთი ჩინებული სნაიპერიც ჰყავთ — ისლანდიელი პეტერსონი (იგი 17 გოლით სნაიპერთა ცხრილში პირველ ადგილზეა).

26 ქულა და 1 გამორთვებული მატჩი აქვს „67 ალმარს“. რომელიც ასევე იბრძვის საპრიზო ადგილისთვის.

ბელგია
XX ტურის შემდეგ ბრძოლა პირველი ადგილისთვის კიდევ უფრო გამწვავდა. საქმე ის არის, რომ I და II ადგილებზე მყოფი გუნდები დამარცხდნენ. ლიდერმა „ლოკერენმა“ ლიეჟში წააგო (0:1) ადგილობრივ „ფა ლიეჟთან“, ხოლო მეორე ადგილზე მყოფი „ფა

ბრიუჟი“ საკუთარ მიწაზე დამარცხდა (1:2) „მოლენბეკთან“.

XX ტურის შემდეგ 30 ქულით წინ არის „ლოკერენი“, 28 ქულა აქვს „ფა ბრიუჟს“, 27 ქულა — „მოლენბეკს“.

უოტლანდია
ქვეყნის პირველობას მტკიცედ ლიდერობს გლაზგოს „სელტიკი“, რომელსაც 21 თამაშის შემდეგ 30 ქულა აქვს. მისი ერთადერთი მეტოქეა „მორთონი“ — 22 თამაშისა და 26 ქულა. III ადგილზე მყოფ „გლაზგო რინგერსს“ 22 თამაშისა და 22 ქულა მოუგროვდა.

კორტუბალია
დაიწყო მეორე წრე. ახლავ ცხადია, რომ I ადგილისთვის მხოლოდ 3 გუნდი იბრძვის: შარშანდელი ჩემპიონი „პორტო“, ლისაბონის გუნდები „სპორტინგი“ და „ბენფიკა“.

XVI ტურში „პორტო“ საკუთარ მიწაზე მიიღო ბრავა „სპორტინგი“ და მოუგო ანგარიშით 1:0. ლისაბონის „სპორტინგს“ მატჩი სტუმრად ჰქონდა პრაიას „ესტორილთან“ და გაიმარჯვა 1:0. „ბენფიკა“ სეტუბალში ფრეა (0:0) დასაჯერდა ადგილობრივ „ვიტორიასთან“.

ახლა „პორტოსა“ და „სპორტინგს“ 27-27 ქულა აქვთ, „ბენფიკას“ — 2 ქულით ნაკლები.

საბერძნეთი
XVII ტურში ლიდერი შეიცვალა. პირველ ადგილზე მყოფი პირესის „ოლიმპიკოსი“ სალონიკში დამარცხდა ადგილობრივ პათოსთან 0:2. თავის მიწაზე გაიმარჯვა სალონიკის მეორე გუნდმა „არისმაც“, რომელიც „როდოსს“ ეთამაშებოდა — 2:0.

24-24 ქულით ლიდერობენ სალონიკის გუნდები პათოსი და „არისი“. 23 ქულა აქვს პირესის „ოლიმპიკოსს“, 22 ქულა — პირესის „ეთნიკოსს“.

უხსოთილ ფუნჯუთილ ახჯუჯი

დაპატიმრეს პრაზიდენტი
სტიუარტ დრაიდენს, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის „ნორთინგემ ფორესტის“ პრეზიდენტს პატარა „კომბინაცია“ ძვირად დაუჯდა — ექვსი თვით ციხე მოუსაჯეს.

პრანკლი „რაპიდში“
წლიანხვედრის „მეგარაციის“ შემდეგ მშობლიურ კლუბს ვენის „რაპიდს“ დაუბრუნდა ევროპის ერთ-ერთი სუეტესო თავდასხმეული ჰანს კრანკლი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში „ფა ბარსელონას“ ლისებანს იცავდა, როგორც ესპანეთის ფეხბურთის წრეებში ცნობილი გახდა, მისი ადგილი ბრაზილიელმა რობერტომ დაიკავა.

უნგრეთის „ბასტროლაში“
სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრა უნგრეთის ეროვნული ნაკრები. პირველ მატჩში, რომელიც ბუენოს-აირესში გაიმართა, უნგრელებმა დაამარცხეს ამ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „რესინგი“ — 3:2.

კვლავ მსხვერპლი
უკანასკნელ დღეებში უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია ინგლისის პირველობაზე გამართულ მატჩებს. ჯერ იყო და კარდფში, „კრისტოლ პალასსა“ და „სვენზე სიტის“ შორის გამართულ მატჩში მოკლეს 31 წლის გულშემატკივარი. ხოლო ბელგიაში შეხვედრის მსვლელობის დროს — პოლიციელი.

კლასიკური ჰიდაობა

ყუბუსიკა — უმლიარსთა შორის
დამთავრდა პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში 22 სპორტსაზოგადოების 165 მოჭიდავე გამოდიოდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს მ. ვილგეჟანინმა („ბრუელი“), ა. ბლატიკემა („ნენიტი“), ს. კარაპეტინმა („მხატვანი“), ვ. მატეამ („ლოკომოტივი“), ს. კუზიაკოვმა („ნენიტი“), ს. გლაზკოვმა, ზ. ყუბუსიძემ (ორივე — „ლოკომოტივი“), ვ. უმინსკიმ, ი. გრიგორიევა (ორივე — „ბურევესტივი“), ვ. ულიანოვმა („ბრუელი“).

„სპორტოლოგია“

სპორტული ლატარების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტოლოგის“ მეოთხე ტირაჟების შედეგები.

„სპორტოლოგი 6-49“-დან:
პირველი: ექვსი ციფრის ევრაზიის გამოცნობისთვის (შედავითიან ბურთულით, 1 ბარათი) მოგება 5101 მანეთია, ხოთისთვის (14 ბარათი) — 4101, ხუთისთვის (შედავითიან ბურთულით, 63 ბარათი) — 82, ოთხისთვის (1300 ბარათი) — 57, სამისთვის (23122 ბარათი) — 3.

მეორე: ექვსი და ექვსი (შედავითიან ბურთულით) ციფრები ევრაზიის გამოცნობისთვის (12 ბარათი) მოგება 2628 მანეთია, ხუთისთვის (შედავითიან ბურთულით, 22 ბარათი) — 92, ოთხისთვის (555 ბარათი) — 67, სამისთვის (11593 ბარათი) — 3.

„სპორტოლოგი 5-86“-დან:
პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (9 ბარათი) მოგება 7973 მანეთია, ოთხისთვის (958 ბარათი) — 140, სამისთვის (30067 ბარათი) — 5.


მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (2 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (622 ბარათი) — 276, სამისთვის (23333 ბარათი) — 7.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 6 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით.

მხიარული ფანჯრით



უსიტყვოდ



ნ. ხოდელის ნახატები.

რედაქტორი **ბ. ბასილიანი.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. №14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრაკის — 93-97-26; სახმატკრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამოშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-55; მემანქანები — 93-97-57.